# ნიანგი

№ 1 (1371) იანვარი 1972
გამოდის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.



— ეს სიჩქარის გადაჭარბებისათვის. ეს არასწორი გასწრებისათვის, ეს უადგილო ადგილას, გაჩერებისათვის...
— უფროსო, ბარემ საფანტიანი თოფი გესროლა მაგ ტალონისთვის!

# ოძრაობის უშიშროების ერთთვიურის ბიულეტენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეიმურ აზიანი

**ქუთაისელ თეიმურაზ ხატისკაცს**, რომელსაც არც ხატისა სწამდა და არც კაცისა, ბავშვობიდანვე გაუვარდა სახელი როგორც უცხოურ დეტექტიურ ფილმებზე გადარეულ მაყურებელს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც **თეიმურაზს** პასპორტი არ ჰქონდა, ჰქონდა იარაღი და კაცის დაჭრა მოახერხა, ბავშვი იყო და ხახვივით შერჩა...

... რომ წამოიზარდა და თექვსმეტ წელს გადააბიჯა, **თეიმურაზმა** მტკიცედ გადაწყვიტა: რაც ქვეყანაზე თეიმურაზია, ყველას თავი უნდა მოვუყარო და სასწაულები მოვიმოქმედოო.

ავტომანქანის ქურდს — **თეიმურაზ ალხაზიშვილს** დიდხანს ეძებდა ტყიბულის სასამართლო და ვერ მონახა, სამაგიეროდ იგი მონახა **თეიმურაზ ხატისკაცმა**. შენც **თეიმურაზი**, მეც **თეიმურაზი**, ორ **თეიმურაზს** კი ქვეყნის დაქცევა შეუძლია,—უთხრა **თეიმურაზ** პ ი რ ვ ე ლ მ ა **თეიმურაზ** მ ე ო რ ე ს.

— ც ო ტ ა ა, მესამე **თეიმურაზიც** გვჭირდება, — შენიშნა **ალხაზიშვილმა**.

— არის მესამე **თეიმურაზიც**, გვარად **ხმალაძე**, ისიც შენი კბილაა, ოცი ჯერ არ შესრულებია, არსად არ მუშაობს, მილიციას აღრიცხვაზე ჰყავს, ერთი სიტყვით, კარგი ჩამოსხმაა,—მისცა „დადებითი" რეკომენდაცია **ხატისკაცმა** და განგებ დამალა **ხმალაძის** კომკავშირელობა, ვაითუ, **ალხაზიშვილს** შეხედულება შეეცვალოსო.

**თეიმურაზ ხმალაძე** ისეთი ბიჭი არ იყო, უარი ეთქვა „სამთა კავშირზე" და შეავსო იდუმალ მზრახველთა რიგი თავისი პერსონით.

შემდეგ კი ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც მოითხოვდა ლოგიკა.

— გვესაჭიროება რევოლვერი, ბინისა და სეიფების სატეხი ტექნიკა, რეზინის ხელთათმანები და, რასაკვირველია, ავტომანქანა!—ითავა უფროსობა უმცროსმა **თეიმურაზმა**.

— ავტომანქანის შოვნა ჩემზე იყოს, მაგის პროფესორი ვარ,—ამაყად თქვა **თეიმურაზ ალხაზიშვილმა**.

— სროლა ჩემი მოგონილია, ტყვიას ტყვიაში ვაჯენ, — წაიტრაბახა **თეიმურაზ ხატისკაცმა**.

— აბა, დანარჩენი წვრილმანია, — გააიოლა საქმე **თეიმურაზ ხმალაძემ**.

— მაშ, ასე: რადგან რიცხვი ოცდაერთი მომგებიანია, 21 სექტემბერს, უთენია, გავალთ ქუთაისიდან საჭირო იარაღითა და ინსტრუმენტებით. მარშრუტი: დასავლეთ საქართველო. ავალთ სოხუმში, იქიდან, შეიძლება, სოჭშიც გადავინაცვლოთ, გზადაგზა ჩავატარებთ ძარცვებს, როგორც კი მომენტი ჩაგვივარდება!

**თეიმურაზ პირველის** პროექტი მოიწონეს **თეიმურაზებმა** — მეორემ და მესამემ.

...მილიციაში სულმოუთქმელად შევარდა ქუთაისის ერთ-ერთი მაღაზიის გამგე ოთარ ასათიანი.

— არიქა, მიშველეთ, „მოსკვიჩი" მომპარეს!

ოთარ ასათიანს გულმა არ გაუძლო და თვითონაც გადაწყვიტა, მოეძებნა დაკარგული ავტომანქანა. იგი თავისი მეგობრის—რეზო დვალიშვილის „ვოლგით" ალალბედზე დაადგა გზას.

სამი **თეიმურაზი** კი მიჰქროდა „ქვეყნის დასაქცევად" შავი ზღვისაკენ. სათბობი თანდათან ელეოდათ და, აი, ხობის მისადგომებთან მანქანა დაამუხრუჭეს ბენზინის ჩასასხმელად.

ოთარ ასათიანი და რეზო დვალიშვილი გუმანმა სწორედ ამ ტრასაზე წამოიყვანა და აკი არც უმტყუნათ წინათგრძნობამ. ოთარმა გარკვევით დაინახა თავისი ავტომანქანა — „მოსკვიჩი", გრრ, 85-00.

სასწრაფოდ გამოვიდნენ მანქანიდან ასათიანი და დვალიშვილი და „მოსკვიჩისკენ" გაიქცნენ.

— დავიწვით! — იყვირა **თეიმურაზ მესამემ**.

**თეიმურაზ** პირველმა კი სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება: რამდენიმე გასროლით ძირს დასცა ასათიანი და დვალიშვილი, შემდეგ კი, როგორც მეთაურს შეჰფეროდა, იყვირა: მომყევით!

**თეიმურაზები** გაუჩინარდნენ.

ხობის რაიმილიციის განყოფილებას სასწრაფოდ აცნობეს მომხდარი შემთხვევის შესახებ.

მილიციის უფროსმა — მაიორმა ა კ ა კ ი დ ა რ ა ს ე ლ ი ა მ იმწამსვე შეჰქმნა ოპერატიული ჯგუფი. უფროსი ლეიტენანტი ო ნ ე გ ი ნ ე ვ გ ე ნ ი ძ ე ფ ო ჩ ხ უ ა, უბნის ინსპექტორები: ა ნ ზ ო რ ა დ ა მ ი ა, ზ ა უ რ კ უ ც ი ა, ზ ა უ რ შ უ ლ ა ი ა და ბავშვთა ოთახის ინსპექტორი გ ე ლ ა ჯ უ ლ ა ყ ი ძ ე დაედევნენ ბოროტმოქმედებს.

ა კ ა კ ი დ ა რ ა ს ე ლ ი ა მ ოპერატიულად აწონ-დაწონა შექმნილი მდგომარეობა და დაასკვნა:

— დამნაშავეები ხობის წყალს გაჰყვებიან, რათა თავიანთი კვალი დამალონ. ამიტომ ჩვენც სწორედ იქით უნდა ავიღოთ გეზი!—გამოცდილი ოპერატიული მუშაკი არ შემცდარა. **ხატისკაცი, ალხაზიშვილი და ხმალაძე** ხობისწყალს ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდნენ. შორს ველარ წავიდნენ. ასე გასრულდა ამბავი სამი **თეიმურაზისა**.

**არჩილიანი**

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— წითელზე მიდიხარ?
— რას მიჰქარავ, ნაღდი მანავის მწვანეა!

- დიდი გაქანების ადამიანი
- მოუხელთებელი
- ანგარიშმიუცემელი
- თვალზე რულმოუკიდებელი
- გზას აცდენილი
- პირველ კლასში დარჩენილი
- კაცის გამტანი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— ჯარიმა დალიე!
— მაშინ ქვითარიც გამომიწერეთ, ავტოინსპექტორმა მეორედ რომ არ დამაჯარიმოს!

ნახ. მ. აბაშიძისა




— უფროსო, მოძრაობის უშიშროების ერთთვიურის დამთავრების მაღარიჩს ვიხდით!



მატარებლის გამცილებელი გადასასვლელზე.





— რად გინდა, ბიჭო, სიდედრის სურათი მანქანაში?
— სიფხიზლისთვის.



— ჩემი მანქანა აქედან მოიპარეს, რა მოუვიდა მაგ დალოცვილს, ამდენ ხანს ბეში რომ ვერ აიღო?!
— რა ვქნა, არ უყვარს ბენზინის სუნი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ხომ შეგვპირდით, ზამთრისთვის შევაკეთებთ გზასო? რა ვუყოთ ამ ორმოებს?!
— თოვლი მოვა და დაფარავს.

### ბათუმი

**ალბერტი ზაქარიანი**
**თავის თავის ამქართა,**
ყოველთვის ცოდო დაიდო,
სადაც კი ჩხუბი გამართა.
ზოგს გულის მანკი შეჰყარა,
ზოგიერთს დამბლა დამართა,
ზოგს დაამტვრია მანქანა,
საჭე რომ მთვრალმა წარმართა.
მაგრამ უდღეურ „ფანტომასს"
აბა, ვინ დაიფარავდა,
ოცდაცამეტი წლის კაცი
ციხეში **შვიდჯერ** ჩავარდა.

### წითელწყაროს რ-ნი

წითელწყარო მშვენიერი,
ბედნიერი სოფელია.
**ზაურ იაკობიშვილი**
კოლმეურნე-მოფერია.
მისი ავტო-შევარდენი
ზღაპრულ ძალთა მპყრობელია,
იგი **ოცდათოთხი ათას**
**შვიდას** კილოს მოერია.
დიახ, **იაკობიშვილმა**
ქერ-ხორბალი, მზესუმზირა,
ხალხი ოფლს რომ აპკურებდა,
მზემ თვეობით რომ უმზირა,
ერთ ღამეში მოიმკო და
ბნელში ბნელად ბნელი გზითა,
განა საწყობს ჩააბარა,
თავის სახლში გადაზიდა.

### წყალტუბოს რ-ნი

**გუმბრის** კოლმეურნეობა
ცნობილი გახლავთ ვაზითაც,
ზვრებ-ვენახები ახალი
მან მზის კალთამდე აზიდა.
მაგრამ მე მინდა გიამბოთ
(ვიცი, რომ ღიმილს შეიძენთ)
თუ რა ოინი მოაწყო
აქ ბრიგადირმა **ბენიძემ**:
2.000 ვაზი რომ
დარგო ვაქკაცმა უჩვევმა,
სამუშაოთა უწყისში
მყის 8.000 უჩვენა...

* * *

მუხიანში №5
სასადილო არის ერთი,
მებუფეტე **ნიქაბაძეს**
სულ წყალობდა მამა-ღმერთი.
ტრაბახობდა: ვიცი, ფულებს
ხელი როგორ ვუფათურო!..
ამას წინათ ქვეყნის ხორცი
შეიტანა უფაქტუროდ.

დაამზადა მშრალად, მწვადად,
ხაშლამად და ყაურმადა;
მიუსწრეს და... **შოთას კოვზი**
დიდ ნაცარში ჩაუვარდა.

### ზუგდიდი

დიდ უნივერმაღში
(რომ ჰქვია „ე ნ გ უ რ ი")
გაისმა კივილი
და მოთქმა მეგრული:
„მომტაცეს ხელჩანთა,
შიგ ფული მიწყვია,
მიშველეთ... ექიმი,
ჩქარა, მილიცია!..
ახლა არც ხმაური
და აღარც რეკვაა,
ხათაბაში გაბმულა
**გენადი რეკვავა.**

### ქობულეთის რ-ნი

ქობულეთის ბაზარი
არ გეგონოთ ბაზარი...
აქ დგას კონტროლიორი
**გოგმაჩაძე ხასანი.**
— გორიდან ვარ დილარი,
მოვიტანე ხილნარი,
ხასან, კარი გამიღე,
ხელზედა მაქვს ქვითარი.
— ე ქვითრებმა, ვაი შენ,
ხედავ, სისხლი გამიშრეს,
თუ გაგიშვებ, ფულს მომცემ,
თუ ფულს მომცემ, გაგიშვებ!

### თბილისი

**თბილმრეწვვაჭრობას** ნავთლუღში
მაღაზია აქვს კოხტა.
სასაცილოა, მკითხველო,
რაც ამ დუქანში მოხდა.
აქ ფაიფურის ჭურჭელი
მიიღეს ერთობ ნაზი.
ყველა სადარდელს მიეცა:
ზედ აწერია ფასი.
მყის გამგემ **ამირიძემა**
უბრძანა ნოქრებს: „მალე,
ჭურჭელზე დამღა ფასისა
დანით ფხიკეთ და შალეთ!.."
და ჰყიდეს მაღალ ფასებში
თეფში, ვაზა და ჭიქა.
მერე კანონმა დუქნიდან
**ალექსიც** ამოფხიკა...

**გაიოზ შავერზაშვილი**

## საინტერესო ამბავი

ის ულვაშიანი კაცი ავტობუსის მოლოდინში გავიცანი. ის იყო ჩემი ნაცნობის ნაცნობი. ნაცნობი (ის ფიზიკოსია) ავტობუსის გაჩერებამდე მიმყვა. იქ აღმოჩნდა ჩემი ნაცნობის ნაცნობი, ისიც ულვაშიანი. ჩემმა ნაცნობმა მისი ნაცნობი · ფიზიკოსი გამაცნო და კამათი დაიწყეს...

ავტობუსმა დაიგვიანა. ჩემმა ნაცნობმა რაღაც მოიმიზეზა და დაგვტოვა. გაჩერებაზე დავრჩით: მე, ჩემი ნაცნობის ნაცნობი, (ახლა ჩემი ნაცნობი) და კიდევ ერთი კაცი.

ჩემს ახალ ნაცნობს დიდი, ზევით აპრეხილი ულვაში აქვს. მე მის ულვაშს თვალს ვერ ვაშორებ. რამეს იტყვის თუ ვეტყვი, მაინც მის ულვაშს ვუყურებ, რადგან მარცხენა ულვაშზე რაღაც თეთრი ნამცეცი ჰკიდია. მე დიდხანს ვწვალობ, დავადგინო, რა არის ეს თეთრი ნამცეცი...

ის მეუბნება: აინშტაინი ბორს წერდა: „ჩემი ფიზიკური პოზიცია არ შემიძლია შენ დაგისაბუთო ისეთნაირად..."

მე ვფიქრობ: „მე მგონი ეს ქაღალდის ნამცეცი უნდა იყოს, ან კამფეტისა".

ის მეუბნება: „იდეები უფრო ღრმა და საერთო კანონზომიერებისაა, ისინი მოქმედებენ — თერმოდინამიკის კულისებს გარეთ..."

მე ვფიქრობ: „არც ქაღალდია და არც კამფეტი, მაშ რა ჯანდაბაა?"

ის მეუბნება: „ნაწილაკი, რომელსაც გააჩნია უწყვეტი არსი..."

როდესაც ავტობუსი ჩამოდგა და ულვაშა მემშვიდობება, ბოლოს და ბოლოს, ვხვდები, რომ ეს არის ყველის ნამცეცი, რომელიც ისეთი სიმსუბუქით ჰკიდია ულვაშს, სახის ყოველ მოძრაობაზე ისეთნაირად ქანაობს, რომ, დიდი ხანია, უნდა ჩამოვარდნილიყო, მაგრამ რაღაც ბეწვზე ჰკიდია.

რამდენჯერმე კიდეც აღმეძრა სურვილი ხელი ამექნია და მომეცილებია ნამცეცი ულვაშისათვის, მაგრამ უხერხული იყო...

— თქვენ ამ ავტობუსს არ ელოდებით? — მეკითხება ულვაშა.

— არა, მე სხვა ავტობუსს ველოდები, — კიდევ მინდა ვუთხრა: ულვაშზე ხელი ჩამოისვით, ყველის ნამცეცი გაქვთ მიკრულიმეთქი, მაგრამ ამას არ ვამბობ, უფრო სწორად, ვერ ვამბობ. არა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მეთქვა, მაგრამ რატომ უნდა ვუთხრა, რა ჩემი საქმეა?..

— იგივე შეიძლება ითქვას სიდიდეთა რიგზე... — განაგრძობს ნაცნობის ნაცნობი, ხალხით გაჭედილი ავტობუსის კარებში ადგილს ეძებს... როცა ავტობუსი დაიძრა, პაწია ნამცეცი ულვაშს მოწყდა და ფარფატით დავარდა ასფალტზე.

„კიდევ კარგი, რომ არაფერი ვუთხარი, თურმე ისედაც ჩამოვარდებოდა ის ნამცეცი", — გავიფიქრე და ხელი დავუქნიე ჩემი ნაცნობის ნაცნობს.

*რეზო ესაძე*

ნახ. ა. კანდელაკისა



— ცოცხალი თავით არ დაგნებდები, არ მოვდივარ, კაცო, საგურთალოზე!

ნახ. ვ. კუციასი



„ხევსურული ბალადის" ახალი ვარიანტი
„გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ..."

## აჩუ, აჩუ, ცხენო!

**ავტოავარიები** მუდამ ცუდ ხასიათზე გვაყენებს. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოფილან, თურმე, ავტომესაჭეები, რომლებიც ცდილობენ ისეთი ავარია მოახდინონ, არამცთუ არ დაალონონ, არამედ, რამდენადაც შეიძლება, გაართონ ხალხი.

„ნიანგის" ფოტოჩანგალს ამჯერად წამოეგო მძღოლი, რომლის ავტოოსტატობას მწარე ღიმილის გარეშე ვერ გაეცნობით:

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში **თბილისის № 2651 ავტოკოლონის ავტომძღოლი უჩაიასეს ძე ხუციშვილი** კახეთის გზატკეცილზე შურდულივით მიაქროლებდა სატვირთო მანქანას (გრშ, 45-52). თბილისიდან 65-ე კილომეტრზე მან თვალი მოჰკრა გზის გასწვრივ ბილიკზე გაჩენებულ ცხენს. ალბათ, იუკადრისა, ეს ჩოქლაქი რაში ჩემს რკინის მერანს როგორ უსწრებსო, და ძველი დროის „ტრანსპორტს" ტორპედოსავით შეაჯახა ვეება „ზილი". ცხოველი რომ მოკლა, ცხოველურმა ჟინმა კიდევ უფრო აიტანა და გზად მიმავალ „მოსკვიჩს", როგორც შოფრულად იტყვიან, ძმურად „აკოცა". ერთობ ძვირი დაუჯდა ეს „კოცნა".

უნებლიეთ იბადება კითხვა: რამ გადააწყვეტინა **უ. ხუციშვილს** ასეთი უთანასწორო ასპარეზობა გაემართა? აქ, ვფიქრობთ, არავითარი ლოგიკა არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ უკუღმართად მოსიარულე ავტომძღოლის სახელი უ ჩ ა უკუღმა რომ წავიკითხოთ, გამოდის აჩუ.

**გაი ოზიშვილი**

# მოძრავი ფოტოგამოფენა

ᲕᲔᲙᲐᲚᲘᲡ გზატკეცილზე დადის ერთი ავტობუსი, რომელსაც თემქელები უნომროდაც ვცნობთ. ამ ავტობუსში ყოველთვის ხალხმრავლობაა. მას ჯერ საკუთარი მგზავრებიც ჰყოფნით, მაგრამ არცთუ იშვიათია შემთხვევა, რომ ჩვენს ტრანსპორტში ამოდიან მოქალაქეები, რომლებიც სრულიად სხვა მარშრუტს ელოდებიან. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ეს ჩვეულებრივი სამგზავრო მანქანა მძღოლმა მოძრავ ფოტოგამოფენად აქცია. მისი „კაბინა“ აჭრელებულია უცხოური ჟურნალებიდან ამოჭრილი ფერადი ფოტოებით, ვის არ ნახავთ აქ: ავჭალის გზატკეცილზე დაჰქრიან ჯინა ლოლობრიჯიდა, სილვანა პამპანინი, სოფი ლორენი, მერლინ მონრო და სხვა და სხვა. კინოვარსკვლავებთან რა ხელი გვაქვს, მაგრამ მათ გვერდით ავტობუსის კედლებზე გაკრული არიან ერთობ საეჭვო ყოფაქცევის უმანდილოსნები, ერთობ გაშიშვლებულნი და ერთობ საეჭვო პოზებში.

წარმოიდგინეთ ავტობუსი, რომელშიც ტევა არ არის! რა სამსახურის გაწევა შეუძლია ასეთ რეკლამას, ან მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით თვით მძღოლისათვის რამდენად ხელსაყრელია ასეთი გამოფენა?

ავტობუს-გამოფენის მგზავრ-დამთვალიერებელი

ფ. ლომსაძე

ნახ. დ. ერისთავისა




— რომელი ინტრიგანისგან მიიღეთ სიგნალი, ქუჩაში მანქანას აყვირებდაო?
— თუ დამიჯერებთ, თვითონ თქვენი მანქანის სიგნალმა მოაღწია რედაქციამდე.

ნახ. დ. ერისთავისა



— აბა, ჩასუნთქეთ ღვინის ჭიქაში!
— ჩემს სიცოცხლეში ღვინო არ დამილევია. უფროსო, არყის ჭიქა მომიტანეთ!

# ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ...

**ᲘᲛ** დღეს სამსახურში ახალი მისული იყო, რომ ცოლმა დაურეკა, ავტომანქანა გამომიგზავნე, ქალაქგარეთ ვარო გასასვლელი. გაუგზავნა და თვითონ, მთელი დღე, მოადგილის მანქანას ხმარობდა. მერე აგარაკის მშენებელმა ინჟინერმა შემოიარა, ერთ ხანს მშენებლობის ამბებზე ისაუბრეს, მერე იმანაც ვიღაცის სამსახურში მოწყობა თხოვა: ნასამართლევია და გაუჭირდაო. ერთ-ერთი განყოფილების უფროსი გამოიძახა და იქვე მოაგვარეს საქმე. კალენდარს დახედა. წარწერამ გაახსენა, რომ გაზეთის რედაქციას მისთვის წერილი ჰქონდა შეკვეთილი. თანამშრომელი გამოიძახა და წერილის სასწრაფოდ დაწერა დაავალა. დაწესებულების ერთი მემანქანე მისი დისერტაციის ბოლო თავს ბეჭდავდა. მეორე, რომელსაც მისი ცოლის თარგმანი ჰქონდა გადაცემული დასაბეჭდად, ავად გამხდარიყო იმ დღეს. დღის ერთ მონაკვეთში ვაჟის საზღვარგარეთ მივლინების საქმეზე იყო გასული. რძალს კი მალე ასპირანტურაში უნდა ჩაებარებია და კათედრის გამგესთან მისვლა თხოვა ერთს, საქმის წინასწარ მოსაგვარებლად. შეპირდნენ, ხოლო იმათაც, თავის მხრივ, თხოვნა შემოაგებეს. ერთ-ერთი განყოფილების გამგეს დაავალა მისი მოგვარება — მთელი კვირით მივლინებაში გაუშვა. სიძემ დაურეკა, ლენინგრადიდან ჩემთვის მეტად საჭირო კაცი ჩამოდის ჩვენთან და სასტუმროს საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო. მაშინვე ერთ-ერთი თანამშრომელი მიამაგრა ამ საქმეს, ერთსაც ფული მისცა და თვითმფრინავის ბილეთის უზრუნველსაყოფად გაუშვა (მოსკოვში იყო მალე წასასვლელი).

დღის ბოლოს თათბირი მოიწვია შრომის დისციპლინის საკითხზე. ერთ-ერთ თანამშრომელს საყვედური გამოუცხადა ბრძანებით — წინა დღით უნებართვოდ სამსახურიდან ნახევარი საათით ადრე წასვლისათვის...

მეორე დღეს...

გ. მაზინაშვილი

# ზუსტად ისე, როგორც იყო

**საშოფრო** კურსები ერთად დავამთავრეთ. ამ რამდენიმე დღისწინ ავტომანქანის სადგომთან შევხვდით ერთმანეთს.

— გამარჯობა, ძველო!

— გაგიმარჯოს.

— რასა იქ?

— ვმუშაობ. ქარხნის დირექტორს ვატარებ. კაცი კი არა, საზანდარია.

ერთი კვირის შემდეგ ჩემმა კოლეგამ სასინკლის კარებთან გადამხვია მხარზე ხელი.

— როგორ არის საქმე?! — შევეკითხე ტუხას.

— შეხმატკბილებულად.

— ეგ როგორ?

— როგორ და, ჩემს უფროსს კარგი მეორე ხმა აღმოაჩნდა, ჩემი მოძახილის ამბავი შენც კარგად იცი და ვმღერით. აი, ახლაც, სახინკლეშია შესული, გამოვა და ორთაჭალამდე სამ სიმღერას მაინც დავაბუბუნებთ.

ერთი თვის შემდეგ რესტორან „გემოსთან“ შევხვდი ტუხას. მანქანაში იჯდა და თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა.

— ჰა, რას უდგახარ, ძველო, მღერი?!

— არა, ძმაო, მეტი აღარ შემიძლია! მე მაგასთან გამჩერებელი აღარა ვარ.

— რატომ, კაცო? აკი შეხმატკბილებული იყავით.

— შეხმატკბილებული? შევალთ რესტორანში, დალევს, შეჭიკჭიკდება და მერე ატყდება ჭიაფანდურასავით. შეზარხოშდება და მოსვენება აღარა მაქვს: ტუხა! „ჩაკრულო“. ტუხა! „გაფრინდი, შავო მერცხალო!.“. ტუხა!..

— შენც იმღერე!

— როგორ, კაცო, ულვინოდ?! თვითონ ჭიქაში ღვინოს დაისხამს, მე — ბორჯომის წყალს და ალავერდს გადმოდის. ბიჭი ხარ და, ნუ დალევ. მოვკვდი კაცი ბორჯომის სმით.

— პირველად ვხედავ, კაცი რომ სიმღერასა და ბორჯომის წყალს ემდუროდეს.

— ერთი დღე შეიძლება იმღერო, მაგრამ ყოველდღე?.. მეორე უბედურება კიდევ ის არის, რომ სიმღერის დროს თვალის მოხუჭვა ვიცი.

— ორივესი?

— ორივესი...

— მარტო ერთი რომ მოხუჭო?

— ვცადე, არ გამოდის... მერე და, არც გამოელია ამ დალოცვილს წვეულება, ნათლობა და დაბადების დღე, გავიბერე სიმღერისა და ბორჯომის წყლისაგან.

— შენც დალიე, ტუხა, ღვინო, გულზე მოგეშვება!

— მერე წიგნაკი ღვინოს გადავაყოლო? არა, ძმაო! მეტი გზა არ არის, სხვა გზა უნდა ვნახო.

. . . გუშინწინ ტუხა ჩვენი ქარხნის კლუბის წინ შემხვდა, ჩოხა-ახალუხი ეცვა, ხელები ხანჯალზე ჰქონდა ჩამოწყობილი.

— ეს რა გიქნია, ბიჭო?

— მომღერალთა გუნდში გადავედი.

— შოფრად?!

— შოფრად კი არა, სოლისტად.

— შენს ადგილზე?!

— ბულბულა აიყვანა.

— ეგ რომელი, კაცო, სიმღერის მასწავლებელი რომ იყო?

— სწორედ ის...

— მერე იმან შოფრობისა რა იცის?

— ეჰ, შენცა თქვი რა... იმისთვის მთავარი სიმღერაა, წიგნაკს როგორც იქნება, იშოვის!

**ვალერიან მამუკელაშვილი**




ღია ავტოსადგომი. (მოძრაობის უშიშროების ერთთვიურთან დაკავშირებით)

**უმოძრაობის დროს უშიშროებისათვის**

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. დუმბაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. მალაზონია (მხატვრული რედ.), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32, საერთო განყ. 93-10-78 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ გადაეცა ასაწყობად 26/XI-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-71 წ. ქაღალდის ზომა 70X108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
⊙ შეკვ. № 4140. უე 02263 ტირაჟი 135000 ⊙ ТБИЛИСИ, САТИРИКО-ЮМОРИСТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ «НИАНГИ»
● ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ. ● ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ. ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გიზო ნიშნიანიძე

58
28.I

## ძაღლის ბედი



**ამერიკელი** სტატისტიკოსები სულმოუთქმელად ელიან გასული წლის შედეგებს, რათა გაიგონ, ხომ არ გადააჭარბა ვინმემ ძაღლთა სალონების შემოსავალს. ერთ წელს ამ სალონების შემოსავალმა 3 მილიარდი დოლარი შეადგინა. მდიდარი უსაქმურები თავიანთ ძაღლებს ბეწვის მოსასხამებით, მოდური ყურსაკიდებით, მზის საწინააღმდეგო სათვალითა და ფუფუნების ათასი სხვა საგნებით რთავენ. მეტნაკლებად წესიერ სალონებში 25 დოლარად შეგიძლიათ შეიძინოთ ძაღლის მთელი გარნიტური სმოკინგით, ცილინდრითა და ბაფთით...

# ნიანგის უნივერსიტეტი
## უცხოური ფაკულტეტი

ნახ. გ. ლომიძისა



**ფილატელისტები** მარკებს აგროვებენ, ფილუმენისტები — ასანთის კოლოფის ეტიკეტებს. ნაკლებად ცნობილნი არიან ფროლამოგისტები. ისინი ყველის ეტიკეტებს აგროვებენ. პერიდრომოლოგისტები — რკინიგზის ბილეთებს. ახლა საფრანგეთში ახალი გატაცებაა: გაჩნდნენ კაპოკლეფილისტები. ისინი გასაღებების ასაცმელს აგროვებენ. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა პოლიციის აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი კაპოკლეფილისტი, ასაცმელთან ერთად, ბინის გასაღებებსაც აგროვებს...

### საეჭვო გატაცება

**ავსტრალიელი** ვინმე ლეო სამსონი, რომელიც ჯერ კიდევ 1968 წელს 40 ათას დოლარად დაენიძლავა ერთ ბიზნესმენს, ავტომანქანას შევჭამო, დღემდე ღეჭავს ტექნიკის ამ მიღწევის დარჩენილ ნაწილებს. ამას წინათ მან განაცხადა, რომ ამ უჩვეულო კერძს 1972 წლის ბოლოსთვის დაამთავრებს.



„ავტომოყვარული“

Индекс 76137